*დანართი №2*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა''

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: |
| **თამარ რემიშვილი** |
| წევრები: |
| **ნინო ძაგანია** |
| **ინგა ბაქრაძე** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*{თბილისი, 2019}*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-საზოგადოებრივიკოლეჯი "ახალი ტალღა"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 6 მარტის N171 ბრძანების საფუძველზე, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ოთხი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება", ,,ვეტერინარია", ,,ფარმაცია" და ,,კონდიტერია" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით (პროგრამების დამატება) 2019 წლის 12 და 13 მარტს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში ,,ახალი ტალღა" დღის წესრიგის შესაბამისად. **იხ. დანართი 1**.

ექსპერტებმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია. ვიზიტის დროს მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება, გადამოწმდა ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია და შრომითი ხელშეკრულებები, მოხდა პროგრამის განხორციელების ადგილის და პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმება პროგრამების მიხედვით როგორც ქ.ქობულეთში, ასევე დაბა ხულოში.

ვიზიტი მიმდინარეობდა კომფორტულ და კონსტრუქციულ გარემოში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | □ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



*{თბილისი, 2019}*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*{თბილისი, 2019}*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

## V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

## VI. რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- რეკომენდირებულია გაფორმდეს მემორანდუმი შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით „ფარმაციის“ მოდულური საგანმანთლებლო პროგრამისთვის.

- ხელშეკრულებებში რეკომენდირებულია შეტანილ იქნას ცვლილება პროგრამის დასახელებაში ჩარჩო დოკუმენეტის შესაბამისად. ხელშეკრულების შინაარსში აუცილებლად უნდა დაზუსტდეს დეფინიცია ,,ხელშეკრულება“-,,მემორანდუმი“;

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“(რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში ) ეფექტურად განხორციელებისთვის რეკომენდირებულია გაფორმდეს ხელშეკრულება სხვა კომპანიასთანაც;

- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პუნქტში„ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი“ უმჯობესია ჩაშლილი იყოს დეტალურად და არ იყოს მითითება სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციაზე, როგორიცაა შინაგანაწესი, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები და სხვა.

## VII. დაწესებულების მისია

საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ მისიაა წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდაში შრომის ბაზრის და კოლეჯის პროფილის შესაბამისად კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების გზით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*{თბილისი, 2019}*

სტანდარტების შეფასება

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "ახალი ტალღა" მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ,,ფარმაცია" , ,,კონდიტერია" , ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება", ,,ვეტერინარია", განაცხადები პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების დამატების შესახებ, პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რაც ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს, პროგრამების პრაქტიკის კომპონენტისთვის გაფორმებული ხელშეკრულებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პროგრამები, მოდულები, სასწავლო გეგმები, პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების განაწილება კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის დუალური მიდგომისას, პროგრამის განმახორციელებლები, ინვენტარი და აღჭურვილობა და სხვა, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 16 იანვრის N01-04/05 ბრძანებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებულია დოკუმენტი „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“ , რაც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების პროცედურებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს ოთხივე პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამების მიხედვით გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზები:

**პროგრამა „ვეტერინარია“.**

1. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამა 130 კრედიტიანია, პროგრამა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტს შეადგენს, თუმცა ქართული ენის მოდულები 15-15 კრედიტიანია, შესაბამისად არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა უნდა იყოს 150 კრედიტი.

2. მოდული ,,ინგლისური ენა’’- დანართის ნომერი არასწორადაა მითითებული 8-ის ნაცვლად 4-ია; ასევე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა მოდულში "გარემოსდაცვითი საფუძვლები" დანართის ნომერი 7-ის ნაცვლად 8 წერია. არეულია დანართების ნომრები "ქართული ენის" მოდულებშიც. ზოგადად მოდულების ნუმერაცია არ ემთხვევა პროგრამაში მითითებულ დანართის ნომრებს.

3. მოდული "ცხოველთა იდენთიფიკაცია" არ არის სრულად ადაპტირებული, მოდულში დარჩენილია სიტყვები „სარეკომენდაციო“.

**პროგრამა "მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება"**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. „მიდგომები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით“- აღნიშნული გრაფა არ არის ადაპტირებული. მაგალითად, მოდულში "დამკვეთთან ურთიერთობა".

**პროგრამა ,,ფარმაცია“**

1.პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 123 კრედიტია, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოცულობა პროგრამაში არ არის მითითებული.

2.პროგრამის მე-9 პუნქტში არასწორად არის გაკეთებული ჩანაწერი ,,კლინიკური მოდულები“.

3.გაუმართავია ჩანაწერი მიდგომები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით-მოდულ ,,პირველადი გადაუდებელი დახმარებაში“.

4.მოდული ,,უცხოური ენა“ მიზანშეწონილია დაზუსტებული იყოს რომელი უცხო ენა ისწავლება.

5.ზოგადი მოდულები არ არის ადაპტირებული ბრძანება N140/ი 22.02.2019 დანართი 2-ის შესაბამისად.

6.მოდული ,, მორფოლოგიისა და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“ 3.2 პუნქტი საათების ჯამი შესასწორებელია.

7.მოდული ,,მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილი არ შეესაბამება პარტნიორ კომპანიასთან მემორანდუმით გათვალისწინებულ პირობებს. კერძოდ, კოლეჯსა და შპს ,,ავერსი ფარმას“ შორის გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს ექვსი მოდულის სწავლებას და შეფასებას ავერსი ფარმას ბაზაზე, ამ მოდულებს შორის არ არის ზემოთ აღნიშნული მოდული.

**პროგრამა ,,კონდიტერია“**

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ინგლისურად გამორჩენილია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამის მე-13 პუნქტში არასწორად არის მითითებული პუნქტი მე-11, როგორც კვალიფიკაციის განმსაზღვრელი.
3. დაუზუსტებელია პროგრამის მე-14-ე პუნქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.

ექსპერტთა ვიზიტის პირველი დღის ბოლოს დაწესებულებამ მიიღო ინფორმაცია შეჯამების დროს პროგრამებში არსებული ტექნიკური ხარვეზების შესახებ, ვიზიტის მეოერე დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამები, სადაც გათვალისწინებული იქნა ექსპერტების მიერ მიღებული რეკომენდაციები. **იხ. დანართი 2**

ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კონდიტერია" აპლიკანტთა კონკურსით შერჩევის წესი. **იხ. დანართი 3**

პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაგაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან 2022 წლის ჩათვლით:

- შპს,, ბლექ სი,რიზორთსი" [redacted] 15 სტუდენტისთვის(დუალური).
- ი.მ.ვალენტინა ორაგველიძე [redacted] (,,საწარმო საკონდიტრო ფანტაზია")-- 15 სტუდენტისთვის(დუალური).
- შპს ,,ავერსი ფარმას" [redacted]- 30 სტუდენტისთვის;
- სპს ბადრი ქათამაძე ,,აფთიაქი ყველასათვის" [redacted] - 15 სტუდენტისთვის;
- შპს "მათე მოტორსი" - 15 სტუდენტისთვის;
- 2. ი.მ. ავთანდილ გორგილაძე [redacted] - 5 სტუდენტისთვის;
- 3. ი.მ. ნუგზარ რომანაძე [redacted] - 5 სტუდენტისთვის;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 4. ი.მ. ელიზბარ ნოღაიდელი [redacted] - 5 სტუდენტისთვის;
- ააიპ კოოპარატივი "რკ ნიასთან" დაბა ხულოში- 30 სტუდენტისთვის;
- სსიპ-ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლა-15 სტუდენტისთვის.

ვიზიტის დროს განხორციელდა ექსპერტების მიერ პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, მათ შორის:

- შპს ,,ბლექ სი რიზორთსი“ [redacted] ( დუალური );
- ააიპ კოოპარატივი "რკ ნიასთან" ;
- შპს "მათე მოტორსი";
- შპს ,,ავერსი ფარმას“;

ადგილზე ექსპერტებმა განახორციელეს შემდეგი ქმედებები: დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები, შეამოწმეს თუ რამდენად არის სამუშაო პირობები და ერთდროულად რამდენი პროფესიული სტუდენტის განთავსება არის შესაძლებელი; გაესაუბრნენ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს. შპს,, ბლექ სი,რიზორთსი“ -ს წარმომადგენელთან გასაუბრებით ექსპერტებმა გამოირკვიეს, რომ ერთდროეულად 2-3 პროფესიულ სტუდენტს შეეძლება დაეუფლოს პროგრამა „კონდიტერის“(დუალური ) სწავლის შედეგებს .

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 01-04/03 22.02.2019 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით და მოდულებით;
- დირექტორის ბრძანებით პროგრამებში ცვლილების შესახებ N01-04/48 13.03.2019;
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესით , პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურით, დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N01-04/05 ბრძანებით;
- დაწესებულების შინაგანაწესით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით;
- ჩარჩო დოკუმენტებით;
- დაწესებულების ვებ-გვერდით http://www.kpc.ge/acts.html
- პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კონდიტერია“ აპლიკანტთა კონკურსით შერჩევის წესის განსაზღვრის და შესაბამისი დანართების დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანება N 01-04/45 13.03.2019

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**ხელშეკრულებებში რეკომენდირებულია შეტანილ იქნას ცვლილება პროგრამის დასახელებაში ჩარჩო დოკუმენეტის შესაბამისად. ხელშეკრულების შინაარსში აუცილებლად უნდა დაზუსტდეს დეფინიცია ,,ხელშეკრულება“-,,მემორანდუმი“;**

**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“(რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში ) ეფექტურად განხორციელებისთვის რეკომენდირებულია გაფორმდეს ხელშეკრულება სხვა კომპანიასთანაც** ;

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების(კოლეჯის მოკლე აღწერილობა, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტუდენტის სტატუსის მოპოვება, სტუდენტის შეფასება, სსმ/შშმ სტუდენტთა სწავლება), მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა შესახებ;

ვიზიტის პირველ დღეს კატალოგში არ ჩანდა თუ რომელი საგანამანთლებლო პროგრამების დამატებას გეგმავს კოლეჯი, დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ვებგვერდზე სიახლეებში გაკეთებულია ანონსი პროგრამების დამატების შესახებ. მათ მიიღეს რეკომენდაცია, რომ კატალოგში ასახულიყო თუ რომელი პროგრამების დამატებას აპირებს დაწესებულება.

**ვიზიტის მეორე დღეს კატალოგში დაემატა ჩანაწერი, რომ კოლეჯში იგეგმება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ოთხი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის: „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „ვეტერინარია“, „ფარმაცია“ და „კონდიტერია“ დამატება.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობით (კატალოგი);
- http://www.kpc.ge/catalogue.html

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "ახალი ტალღა" შინაგანაწესი, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, ასევე მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის,შეჩერების, მობილობის, პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების წესი. ვიზიტის დროს მოხდა ამ რეგულაციების შესრულების პრაქტიკაში გადამოწმება, რითაც დადგინდა , რომ დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების პროცედურები მიმდინარეობს დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული რეგულაციების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ახალი ტალღა" შინაგანაწესით;
- მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების, მოდულური პროგრამების შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესით;
- http://www.kpc.ge/pdf/shinaganacesi.pdf
- http://www.kpc.ge/pdf/prof_student.pdf

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*{თბილისი, 2019}*

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოდულური პროგრამის ფარგლებში მოდულური პროგრამების შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესი.

ვიზიტის დროს მოხდა ხელშეკრულებების გადამოწმება, რომლებიც გაფორმებული აქვს დაწესებულებას სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამისთვის „ფარმაცია“ დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული მსგავსი მემორანდუმი სხვა საგანამანთლებლო დაწესებულებეასთან. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მემორანდუმის არარსებობის მიზეზი არის ის, რომ სხვა კოლეჯები ჯერ არ ახორციელებენ ანალოგ მოდულურ პროგრამას. კოლეჯი „ახალი ტალღა“ ახორციელებს მოდულურ პროგრამას „საექთნო განათლება“, კოლეჯის მიერ შემუშავებული „მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების, მოდულური პროგრამების შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით , მოდულური პროგრამის ფარგლებში, მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას სხვა თავსებად მოდულურ პროგრამაზე- „საექთნო განათლება“-ზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზით გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;

- მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების, მოდულური პროგრამების შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესით;
- გასაუბრებით კოლეჯის წარმომადგენელთან;
- http://www.kpc.ge/pdf/prof_student.pdf

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**რეკომენდირებულია გაფორმდეს მემორანდუმი შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით „ფარმაციის“ მოდულური საგანმანთლებლო პროგრამისთვის.**

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - საგნობრივი და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) განხორციელების შეფასების წესი, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ხელს უწყობს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ კვალიფიკაციის ამაღლებას (ტრენინგი/ მასტერკლასები/ განათლების შემდგომი საფეხურის გავლა და სხვა)

ვიზიტის დროს მოხდა ამ რეგულაციების მუშაობის პრაქტიკაში გადამოწმება, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი/შედეგები, რასაც დაწესებულება იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. გამოკითხვა დაწესებულებაში მიმდინარეობს ელექტრონული სისტემის გამოყენებით (google.forms).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - საგნობრივი და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) განხორციელების შეფასების წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის კითხვარებით;
- გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციის ანალიზის შედეგებით;
- http://www.kpc.ge/pdf/programebis_ganxorcielebis_shefaseba.pdf

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ქ. ქობულეთში და დაბა ხულოში საკუთრებაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას.
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154, [redacted] | 7406.5 |
| 2 | დაბა ხულო, მ.შავაძის ქ. №3, [redacted] | 592.85 |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით [redacted]
- 29.12.2017 მიღება-ჩაბარების აქტით;
- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს № 12/66649 წერილით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, ,,ვეტერინარია“, ,,ფარმაცია“ და ,,კონდიტერია“ განხორციელების ადგილი, გადამოწმდა ოთხივე პროგრამისთვის საჭირო A,B და C გარემო: თეორიული სწავლების 4 აუდიტორია, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი 2 აუდიტორია, 2 სამზარეულო და 1 პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი.

პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო A, B და C სასწავლო გარემო აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, პროგრამული უზრუნველყოფითა და ტექნიკით , ასევე პროგრამების ინვენტარით აღჭურვის მიზნით დაწესებულებას გამოცხადებული აქვს ტენდერები, ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ :

1. პროგრამებისთვის ვეტერინარია და მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N03-08/19 05.03.2019, N03-08/20 07.03.2019,
2. 2019 წლის 14 თებერვალს დაწსებულების მიერ გამოცხადებული ტენდერი NAT 190003327 და სატენდერო კომისიიის სხდომის ოქმი N3 07.03.2019



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფაქტობრივი მდგომარეობა პროგრამების მიხედვით:

**,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“** განხორციელებისთვის- მოწყობილია A/C გარემო კოლეჯის პირველ სართულზე ცალკე მდგომ ფლიგელში 15 სტუდენტისთვის, ოთახი უზრუნველყოფილია კომპიუტერით და პროექტორით; B გარემო მოწყობილია კოლეჯის მეორე სართულზე 15 სტუდენტისთვის.

**ვეტერინარიის გ**ანხორციელებისთვის დაბა ხულოში - მოწყობილია A/C გარემო კოლეჯის პირველ სართულზე 15 სტუდენტისთვის,კომპიუტერი და პროექტორი; B გარემო მოწყობილია კოლეჯის მეორე სართულზე 15 სტუდენტისთვის.

**ფარმაციის განხორციელებისთვის-** მოწყობილია A და ორი C გარემო კოლეჯის მეორე სართულზე 15 სტუდენტისათვის, B გარემო მოწყობილია კოლეჯის მეორე სართულზე 15 სტუდენტისთვის.

**კონდიტერიის** განხორციელებისთვის - მოწყობილია A და ორი C გარემო კოლეჯის პირველ სართულზე 30 სტუდენტისათვის, B გარემო მოწყობილია კოლეჯის მეორე სართულზე 15 სტუდენტისთვის, კომპიუტერი და პროექტორი.

ვიზიტის დროს ასევე გადამოწმდა სათანადო ინვენტარით აღჭურვილი კოლეჯის საერთო სასწავლო ფართი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამისთვის გამოყოფილ სასწავლო გარემოს ოდენობას, პროგრამის ხანგრძლივობას და სპეციფიკას, მოდულური პროგრამის მოთხოვნადობას, პროგრამის განხორციელების მიდგომებს, პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობებს, მემორანდუმის/ხელშეკრულების პირობებში საწარმოში მისაღები პსოფესიული სტუდენტების მაქსიმალურ რადენობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გარემო შეესაბამება მოდულებში მოცემულ სასწავლო გარემოს მოდელს. ზემოაღნიშნული პროგრამებისთვის გამოყოფილი სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი საკმარისია ამ პროგრამებისთვის მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობისთვის ორ ცვლაში:

,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“-30 სტუდენტი;

,,ვეტერინარია“-30 სტუდენტი;

,,ფარმაცია“ -30 სტუდენტი;

,,კონდიტერია“-90 სტუდენტი(მათ შორის 30 დუალური).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადამოწმებით;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაციით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- გასაუბრებით დაწესებულების წარმომადგენელთან;
- ხელშეკრულებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N03-08/19 05.03.2019, N03-08/20 07.03.2019, 2019 წლის 14 თებერვალს დაწესებულების მიერ გამოცხადებული ტენდერით NAT 190003327 და სატენდერო კომისიიის სხდომის ოქმით N3 07.03.2019;

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში, როგორც ქ.ქობულეთში ასევე დაბა ხულოში, არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათება უზრუნველყოფილია ყველა გარემოში, სადაც სტუდენტებს უხდებათ მუშაობა, და ცენტრალური გათბობა. სველი წერტილებში უზრუნველყოფილი სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის სასწავლო შენობის ფაქტობრივი მდგომარეობით;
- კოლეჯის მიერ კომუნალური ხარჯებისთვის გადახდილი ქვითრებით;
- შეთანხმებით ინტერნეტის მიწოდებასთან დაკავშირებით12.03.2019(დაბა ხულო)
- ხელშეკრულებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N03-08/27 08.03.2019, N03-08/25 07.03.2019 და N03-08/16 01.03.2019 (დაბა ხულო)
- მიღება-ჩაბარების აქტით, საგადასახადო ანგარიშფაქტურით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.
- ვიზუაური დათვალიერებით;

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ვიზიტის დროს გადამოწმდა ოთხივე პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში, როგორც ქ. ქობულეთში, ასევე დაბა ხულოში. დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეით სარგებლობის ინსტრუქცია, ინსტრუქცია გამოკრულია ორივე ფილიალის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკებში მოწყობილია სამკითხველო დარბაზები, მომხმარებელს მოემსახურება კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მიწოდება;

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი (OPAC), რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს ნახონ თუ რა სახის ბიბლიოგრაფიული მონაცემებია ბიბლიოთეკაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვის დამადასტურებელი დკუმენტაციით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების წესი. საქმის წარმოების ორგანიზაცია კოლეჯში აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით (მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (WWW.EFLOW.EMIS.GE) საშუალებით), რაც ნიშნავს, რომ მთელ სამუშაოს, კორესპონდენციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*{თბილისი, 2019}*

მიღებას, მის აღრიცხვას, გამრავლებას, ხელმძღვანელობისათვის წადგენას, გაგზავნას უზრუნველყოფს კოლეჯის საქმისწარმოება. დაბა ხულოს ფილიალში იქნება სპეციალისტი, რომელიც შესულ კორესპონდენციას დაარეგისტრირებს სისტემაში.

დაწესებულება ასევე აწარმოებს პერმანენტულად ინფორმაციის შევსებას ელექტრონული მართვის სისტემაში, გამოყოფილია ემისის ბაზაში ინფორმაციის სისრულეზე და განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ელექტრონული ბაზების შევსების სისრულე , დარღვევები და უზუსტობები არ დაფიქსირებულა.

დაწესებულებაში მოქმედებს  ბრძანებების და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალები . ჟურნალების გვერდები დანომრილია და აკინძულია წესების დაცვით.  ვიზიტის დროს გადამოწმდა ბრძანებები  და ხელშეკრულებები შერჩევითად, დოკუმენტები სწორად იყო გატარებული ჟურნალებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ საქმის წარმოების წესით;
- გასაუბრებით დაწესებულების თანამშრომელთან;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა,  რისთვისაც არსებობს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში, როგორც ქ. ქობულეთში ასევე დაბა ხულოში, დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის წევრთა ფუნქციონალური მოვალეობები და საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა, ასევე განსაზღვრული აქვს მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებული წესები.

ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა დაბა ხულოს ფილიალისთვის შემუშავებული შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი **იხ. დანართი 4**

ორივე ფილიალის შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სადღეღამისო კონტროლს ახორციელებს მორიგე ჯგუფი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს მისი კომპეტენციის შესაბამისად, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქციით;
- http://www.kpc.ge/pdf/sagangebo_situaciebis_martva.pdf
- http://www.kpc.ge/pdf/saxandzro.pdf
- http://www.kpc.ge/pdf/shenoba_nageboba.pdf



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით დაწესებულების წარმომადგენლებთან;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N01-04/47 13.03.2019 დამტკიცებული შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით დაბა ხულოს ფილიალისთვის;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის
**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის როგორც ქ. ქობულეთში ასევე დაბა ხულოში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები; დაწესებულების მიერ შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი მოდულის ფარგლებში იმისთვის, რომ არგუმენტირებულად განისაზღვროს და დოკუმენტურად განისაზღვროს სტუდენტის მიერ პედაგოგის მხარდაჭერით მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურებით,დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა‘‘ დირექტორის 2018 წლის 20 მართის ბრძანებით N01-04/35;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერებით (ქ.ქობულეთი და დაბა ხულო);

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ვებგვერდი http://www.kpc.ge/index.html ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია ახალი ამბები, საგანმანათლებლო პროგრამები, ხარისხის სამსახური, პროფორიენტაცია და კარიერა, საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების ისტორია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, მარეგულირებელი დოკუმენტები, ელექტრონული სახელმძღვანელოები, სტუდენტებისთვის განთავსებულია ინფორმაცია სერვისების შესახებ და პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი, ინფორმაცია კურსდამთავრებულების შესახებ , პერსონალი და სხვ.). ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *http://www.kpc.ge/index.html*

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული აქვს და ვებგვერდზე განთავსებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "ახალი ტალღა" სტრატეგიული განვითარების 2019-2025 წლების გეგმა და 2019 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე საზოგადოებრივი კოლეჯის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში.

დაწესებულების სტრატეგიული მიზნებია:

1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება.
2. მაღალმთიან აჭარაში, დაბა ხულოში ფილიალის დაარსება;
3. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
4. სტუდენტური სერვისების განვითარება;
5. ადამიანური რესურსის განვითარება;

თითოეული სტრატეგიული მიზნისათვის სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია ამოცანა,შესრულების ინდიკატორი, პასუხისმგებელი პირი/პირები, რისკები.

2019 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს ინფორმაციას შესასრულებელი ამოცანის, თვეების მიხედვით შესასრულებელი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, ასევე ინფორმაციას რესურსებისა და ინდიკატორების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 01-04/13 29.01.2019 დამტკიცებული დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით;
- http://www.kpc.ge/pdf/strategiuli_ganvitarebis_gegma.pdf
- http://www.kpc.ge/pdf/gegma.pdf
- http://www.kpc.ge/pdf/angarishi.pdf

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# 3.ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა" საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- http://kpc.ge/images/administraciis_struktura.pdf
- http://www.kpc.ge/pdf/struqtura_xulo.pdf
- საშტატო ერთეულების სამუშაოს აღწერილობით (დაბა ხულო);
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა" საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ახალი ტალღა" შინაგანაწესით;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ახალი ტალღა" თანამდებობრივი ინსტრუქციით;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა" ხულოს ფილიალის თანამშრომელთა სტრუქტურით;
- დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეებით/შრომითი ხელშეკრულებებით და წინარე ხეშეკრულებებით დაბა ხულოს ფილიალისთვის საჭირო პერსონალისთვის;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შემთხვევაში ოთხივე პროგრამა განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციებით;

დაწესებულებას გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულებები შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალთან,მათ შორის პროგრამისთვის „ ვეტერინარია" – 11 პირთან, პროგრამისთვის

„ კონდიტერია" (დუალური)- 13 პირთან, პროგრამისთვის „კონდიტერია"(მოდულური)- 10 პირთან, პროგრამისთვის „ფარმაცია"- 12 პირთან და პროგრამისთვის „ მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება", - 12 პირთან.

**პროგრამების განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, ვისთანაც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები, საკმარისია დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობისთვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
- პროგრამის განმახორციელებელი პირებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებებით;
- პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამებით;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად წინარე შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პუნქტში„ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი“ უმჯობესია ჩაშლილი იყოს დეტალურად და არ იყოს მითითება სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციაზე, როგორიცაა შინაგანაწესი, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები და სხვა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | როფესიული ანათლების აფეხური/დონე | ისანიჭებელი ვალიფიკაცია კვალიფიკაციის ოდის ითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის | რედიტების აოდენობა ოდულური როგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელე ბის მისამართი /მისამართები | უდენტთა ქტობრივი ოდენობა სამართების ხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვეტერინა რია (მოდულუ რი) | მეხუთე დონე | ასოცირებული ხარისხი ვეტერინარიაში 010252 | 120 | 150 | ქართული | დაბა ხულო, მ შავაძის N3; | 0 | 30 |
| 2 | ფარმაცია (მოდულუ რი) | მეხუთე დონე | ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში 090352 | 123 | 153 | ქართული | ქ ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა 154 | 0 | 30 |
| 3 | კონდიტერია (მოდულური დუალური) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში 010466 | 80 | 95 | ქართული | ქ ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა 154; | 0 | 90 (მათ შორის 30 დუალური) |
| 4 | მსუბუქი ავტომობილი ს ელქტრო და ელექტრონუ ლი სისტემების შეკეთება (მოდულური ) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 040781 | 86 | 101 | ქართული | ქ ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა 154; | 0 | 30 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>სულ: 43 ფურცელი, გადაგზავნილია ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დასკვნის პროექტთან ერთად.</u>

**დანართი 1.** ვიზიტის დღის წესრიგი- 3 ფურცელი

**დანართი 2.** პროფესიულ საგანამანთლებლო პრაგრამებში და მის დანართებში ცვლილების განხორციელების და მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მისი დანართების დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანება N01-04/48 13.03.2019 - 30 ფურცელი.

**დანართი 3.** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კონდიტერია“ აპლიკანტთა კონკურსით შერჩევის წესის განსაზღვრის და შესაბამისი დანართების დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანება N 01-04/45 13.03.2019 - 7 ფურცელი.

**დანართი 4**. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დაბა ხულოს ფილიალისთვის შრომის უსაფრთხო გარემის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანება N01-04/47 13.03.2019 - 3 ფურცელი.

**15.03.2019**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: